სახალხო გაზეთი

№ 1050 შაბათი, 23 ნოემბერი 1913 წ. № 1050

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედინი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება: დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება; ინახება ერთ სთვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა [illegible] კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ნოემბრიდან წლის ბოლომდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 1 მ. 50 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

---

22 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

თავ. ვასილი ალექსანდრეს ძე ფალავანდიშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე კნ. მარიამ დიმიტრის ასული, დედა—ელისაბედ ქაიხოსროს ასული, ძმა გრიგოლი და მამიდა კნ. მარიამ ნიკოლოზის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა, ბიძა თ-დი ზაქარია ნიკოლოზის ძე ფალავანდიშვილი, ელენე ალექსანდრეს ასული, ჰენრიხ თეოდორეს ძე ბერკვისტნი და კნ. ანასტასია ალექსანდრეს ასული მაყაშვილისა. პანაშვიდები ბინაზე (განოვის ქუჩაზე, 22), ყოველ დღე. ნაშუადღევის 1 საათზე და საღამოს 7 საათ. გამოსვენება კვირას, 24 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. 827

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი წარმოდგენა 24—8.

კვირას, 24 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგად. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი ორიგინალური პიესა:

მსხვერპლი,

დრამა 3 მოქ. ი. გედევანიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: აბაშიძე, ასათიანი, დავითაშვილი, გარსიაშვილი, თოიძე, მდივანი, მაჭავარიანი, მამულაშვილი, სინაურიძე. ქოდალაშვილი, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, არადელი-იშხნელი, ბარველი, გომელაური, გრიშაშვილი, ჭგუნია, გამყრელიძე, ვარვარიძე, თარალაშვილი, თუხარელი, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, მომფორია, სარაული, საფაროვი, ხონელი, ციციშვილი, შანშიაშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყ. ზუსტად საღამოს 8 ს. ◆ ადგილების ფასი **ჩვეულებრივია.**

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი. ადმინ. ქართ. დრამ. საზ.

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: „ეროს და ფსიქეა", „დამარცხებული რომი", „სინათლე", „ჰამლეტი" და სხვ. 1576

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

შაბათს, 23 ნოემბერს, 1913 წ. ქართულ სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ მსახიობების **ქ-ნი ტასო აბაშიძის და ბ. კ. ყიფიანის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

რევიზორი

კომ. 5 მოქ. ნ. ვ. გოგოლისა. დადგმული იქნება მოსკოვის სამხ. თეატრის გეგმით.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: [illegible], ს. ახვარა, ო. ბარველი, ნ. ზალრიძე, ქს. გორდელი, მ. გოგოლაშვილი, გოდერძი, ა. კახელი, მ. რომანიშვილისა, მრევლიშვილი, თ. ნარაკიძე, ყორიშვილი, თ. ყიფშიძე, ელ. ციმაკურიძე, ბ-ნნი: გ. ანაშვილი, ალავერდელი, გ. აბელიშვილი, ს. არშაკუნი, გ. გელიკურაშვილი, ნ. გოცირიძე, ი. ზურაბიშვილი, ამ. ივერიელი, კ. **ყიფიანი**, თუხარელი, თვალჭრელიძე, ა. კავსაძე, გ. მინდიაშვილი, მაისურაძე, ალ. მეტრეველი, ვ. ნინიძე, ს. რომანიშვილი, ვ. რატიშვილი, ლ. სამადაშვილი, სტურუა, რ. სალაყაია, ს. ტარუაშვილი, ნ. ქუმბურელი, ნ. ჭანკვეტაძე, გ. ჯაბაური და სხვანი.

ადგილების ფასი 5—50 კ. ◆ **დასაწყ. საღ. 8 ს.**

რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** თანაშ. **ჭანკვეტაძე.** „წრის" ადმინისტ.

ბავშვების შეშვება და ფარდის აწევის შემდეგ თეატრის დარბაზში შესვლა აკრძალულია. 1486

გორის პირველი კერძო
სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა)

განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი მ. გ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფობა ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

გინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკრო-ქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი.

წამლობა „606", „914". 1604

ხელოვნების წამხალისებელი
კავკასიის საზოგადოება

კვირას, 24 ნოემბერს, დილის 11 საათზე მმართავს

უკანასკნელ აუქციონს

საზოგადოების წევრთა ხელოვნურ ნაწარმოებისას საზოგადოების ბინაზე (გრიბოედოვის ქუჩა, № 24, არშაკუნისეული სახლი).

დათვალიერება დილის 10—5 საათამდე მსურველთ უფასოდ შეუძლიანთ. 1605.

ქართული თეატრი

კვირას დილით, 24 ნოემბერს 1913 წ.

ბ. **ნიკ. კავსაძე,** ქალ. **მაატ. გომზინა-გოლკონსკისა** და **რუსლანოვის** (მსახიობნი კერძო ოპერისა) მონაწილეობით გამართავს

დილას.

მონაწილეობას მიიღებენ: ტფილ. ქართ. საამხანაგო გუნდი ბ-ნ **მიხ. კავსაძის** ლოტბარობით, (გლეხურ ტანისამოსში გამოწყობილი შეასრულებს ქართულს სიმღერებს და **„მეხტვირულს"** გად. **ვას. ხახიშვილის**-მიერ. ბ-ნნი: **ი. გრიშაშვილი, ახოსპირელი** და **მჭედლიშვილი** წაიკითხავენ ლექსებს. **ძმ. მიხ.** და **ნიკ. კავსაძენი** შეას. დუეტს „ზამთარი", ბ-ნნი * * შეას. ლექსებს **„ვაი-ვუის"** კილოზე, **ქალ. გომზინა,** ბ-ნ **რუსლანოვი** და **აკოფაშვილი** შეას. რუსულ რომანსებს, **ვას. ურუშაძე** წაიკითხავს გურულ სცენებს. ბავშვების გუნდი **ნიკ. კავსაძის** ლოტბ. შეას. ქართულს სიმღერებს. ბ-ნი მიხ. კავსაძე წაიკითხავს მოხსენებას: „ქართული მუსიკა (სიმღერა-გალობა), მისი ეხლანდელი ყოფა-მდგომარეობა და განვითარება". დაწვრილებით პროგრამაში. ფასები დაკლებულია, მოწაფეების ბილ. 30 კ. სამოქალაქო სკოლის მოწაფეებისთვის 25 კ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყ. 12 ს.

გამგე **ნიკოლოზ კავსაძე.**

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი
ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან. ნ. კუნდუროვის ადგილზე

დღეს, 23 ნოემბერს, 1913 წ. გაიმართება

დიდი საგასტროლო წარმოდგენა.

დებიუტი გამნახტ დების პეტერსონისა უონგლიორ ხელოვნების და ამერიკელი მხიარულების ხელმძღვანის ჯაკსონისა. დღეს ჭიდაობენ: კავკასიური ჭიდაობა გიორგი ტატიშვილის სურვილით—ფინსონადოს წინააღმდეგ; გადამწყვეტი ივ. კაინი და ვახტუროვი (ვახტუროვი აძლევს თავის ხიპატიოქამარს და 100 მან. ფულად იმ შემთხვევაში, თუ არ წააქცევს კაინს). გადამწყვეტი უვადო ციპსი და ლუკა კოპიევი.

823

დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა**

საზამთრო ახალი კლუბი **თეატრი**

შაბათს, 23 ნოემბერს, 1913 წელს.

მასკარადია

ქალთათვის ნიღაბი სავალდებულოა. ვისაც უნიღაბოდ ყოფნა სურს, იხდის ჯარიმას 1 მანეთს. ტანისამოსი საცეკვაო დარბაზში მყოფთათვის: სამოქალაქო უწყებათა მოსამსახურეთათვის—შავი ტანისამოსი, **დაუკრავს მემუსიკეთა ორი გუნდი.** დარიგებული იქნება **ოთხი ჯილდო:** ორი—საუკეთესო ტანისამოსისათვის, ორი—ცეკვისათვის. სტუმრები კლუბში შესასვლელს იხდიან 1 მანეთს. ნიღაბოსნებს ბილეთების მიღება კლუბის კანტორაში შეუძლიანთ.

ანონსი: სამშაბათს, 26 ნოემბერს, შესდგება **სათავაზო საღამო.** თეატრის სცენაზე ბ. ზარეჩნის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება „კრეჩინსკის ქორწინება." 0001

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:

ქართლ. ცხოვრ. მარიამ დედ. ვარ.	3 მ.
საქართ. ისტორია ვახუშტისა,	2—
„ „ ბაქრაძისა,	1—
„ „ 1 ლი ნაწ. ბროსესი,	70 კ.
„ „ 2-რე ნაწ. „	70 „
ხახანაშვილი ალექსანდრე. ბატონ-ყმობა საქართველოში,	—50 „
იმერეთის მეფე სოლომონ მეორე,	—25 „
პარიზის ქრონიკა,	—30 „
Жизнь и дѣятельность Католикоса Антонія, I,	—40 „
Багратъ Епископъ Товромевійскій	1—
Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи,	—60 „
Матеріалы по Грузин. агіологіи	—80 „
Правила VI Всел. Соб.	1— „
ხელთუფლიშვილი. Вступленіе Грузіи въ составъ Россійской имперіи,	40 „
ხონელი. Къ 100 лѣтію Крцанисской битвы,	—30 „
ახალი წიგნები:	
ქართული ენისთვის ბრძოლა, თ. ჟორდანიასი,	—20 „
ისტორიული საბუთები წ. 2 რე ს. კაკაბაძე,	—85 „
ორი ლექცია ბ. ხერხეულიძისა,	—30 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1917

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქხენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—1. ს. **ფიდლეროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მირზოევა-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულბ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1^1 **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—1. **ფიდლეროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ვენერიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდლოვი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე $1^1/_2$—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება! და სხვა. შეღავათიანი სადასტურით. წ. 1466

ახალ კლუბთან

არსდება ქალთა და ვაჟთა მომღერალთა გუნდი

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ და ჩაეწერნენ კლუბის დირიჟორ ს. ი. პრუსმანთან.

ყოველ დღე დღით 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ხოლო საღამოთი 9 საათიდან ღამის 11 საათამდე. 1401

ყოველ კვირეული სალიტერატურო იუმორისტული ჟურნალი

„სუსხი"

გამოვა ამა წლის 1 დეკემბრიდან

ჟურნალ „ქინქრის" მკითხველთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ამიერიდან „ქინქარი" აღარ გამოვა და მისი მაგიერი იქმნება „სუსხი". ამიტომ ყოველ-გვარი წერილები და კორესპონდენციები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის მისამართით: Тифлисъ, Мухранская № 12, журналъ „С У С Х И". 1603

ყვირილის სამარხი კასის გამგეობა

აღნიშნულ დაწესებულების წევრთ სთხოვს დაესწრონ კასის მორიგ

წლიურ საზოგადო წევრთა კრებას,

რომელიც დანიშნულია **ხუთშაბათს, 28 ნოემბერს,** დილის 9 საათზე, **დ. ყვირილაში,** ყვირილის საკრებულოს დარბაზში.

განსახილველი საგნებია:

1) 1911 და 1912 წლების ანგარიშების განხილვა-დამტკიცება.
2) მოხსენება გამგეობისა კასის საქმეთა შესახებ.
3) მოხსენება სარევიზიო კომისიის წევრთა.
4) არჩევა გამგეობის ორი წევრის და მათი კანდიდატებისა.
6) არჩევა სარევიზიო კომისიის წევრთა. 1594

რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ საფაბრიკო მაღაზიაში, რომელიც იმყოფება ნიკოლოზის ხიდთან № 23—24,

მიღებულია ახალი საქონელი.

სეზონის შემდეგ გადარჩენილი საქონელი ძლიერ იაფ ფასებში. იყიდება საფაბრიკო ფასების 30% დაკლებით. დარწმუნებულნი ვართ, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დარჩებიან. აქვე შეიძლება შეკვეთა.

მიღებულია დიდი წყება **დამზადებული ტანისამოსისა.**

მამაკაცთა თვის, ქალებისათვის და ბავშვთათვის. აგრეთვე მამაკაცების „კოსტიუმები" და ქალების კაბები და კოფთები ცალ-ცალკე.

1491 პატივისცემით **ძ-ნი პორტუგალოვისა.**

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყოროღლოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა **გ. მეჯრაბიანცი**

დაბრუნდა ევროპიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა— **ჭლექი**— და გულისა შეთანაწყობილი სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტარაქსი. რენტგენის ელვასებური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშინჯვა.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. საწყლებს უფასოდ.

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად **დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად** ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ძ. გორში

ექიმი (დოკტორანტი). მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, **№ 12. აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს $5^1/_2$ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

ვაკზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაზაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—$11^1/_2$ ს.

ბ. ა. მოსიძე. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$ ს.

ექ. ქალი თოხელიძისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$11^1/_2$ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

მ. მ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით

1462

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა დ კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სათვალთო განყოფ. პირდაპირ. 102

დოქტორი ი. ო. უკლადნიკოვი ბავშვებისა დ შინაგანი ავადმყოფობა. მიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—7½ ს. კვირაობით 11—12 საათამდე. ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12—25. 751

ექიმი გ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე** გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი მღვდელი **ს. ა. ლეჟავა** მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევ, შაბათ და დღესასწაულების წინა დღეებისა, ნაშუადღევის 4 ს.-დან 7 ს.-მდე. ალექსანდროვის ქ. 41, ტელ. 16—57. 779

დოქტორი მედიცინისა გ. ა. ახვერდოვი, **პეტერბურგის** სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 10—11 ს., საღ. 6—8 ს. **ხემთენთვის ქ.,** № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—ხემიონ. ქ., № 16. 1159

ექიმი გ. მ-ძე მანსვეტაშვილი გადავიდა ახალ სახლში. ოლღას ქუჩა, სახ. მელიქ-აზარიანცისა, № 3. შინაგანი, ძარღვების და ბავშვების ავადმყოფობათა. იღებს 10—12 დილით, 6—7 საღამოთი ტელეფონი № 16—02. 707

ექიმი ე. ი. მინასიანცი იღებს ყოველ დღე, შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლავთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჰლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. **Mathien.** **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

ექიმი მეიფარიანი იღებს შინაგანი, ბავშვისა და ვენერიულ ავადმყოფებს. დილის 9—12 ს. და საღამოს 5—7 საათ. **ქუთაისი,** ტფილისის ქ., საკუთარი სახლი, № 30, **ტელეფონი № 150.** 1855

საჭიროა საშუალო განათლება მიღებული **ქართველი ქალი გამოცდილი მასწავლებელი,** ბინა ჩვენთან, 9 წლის ქალის მოსამზადებლად უფროსი მოსამზადებლიდან პირველ კლასში მისაღებად. ელისაბედის ქუჩა. № 117. იკითხეთ წერეთელი. 825

სახელმწიფო საბჭო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტო)

19 ნოემბრის სხდომა.

აკიმოვი თავმჯდომარეობს.

უკამათოდ მიიღეს 12 კანონ-პროექტი. მათ შორის ნაფიც მსაჯულთათვის სამგზაო და სახარჯო ფულის გაღების თაობაზე.

განსახილველია არამართლმადიდებელთა სკოლებში სამღვთო სჯულის მასწავლებელთა დაჯილდოვების კანონ-პროექტი.

ბირულევი წინადადებას იძლევა კანონ-პროექტი საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიაში გადასცენ.

საბჭომ წინადადება უარჰყო.

კამათის შემდეგ საბჭომ კანონ-პროექტი მიიღო.

შემდეგი სხდომა 27 ნოემბრისთვის არის დანიშნული.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **კავკასიის ქალაქების წარმომადგენელნი** ხუთშაბათს, 21 ნოემბერს, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნ. ფ. რუდოლფმა ცენტრალურ პედაგოგიურ მუზეუმის დასათვალიერებლად მიიწვია. წარმომადგენელთ დილის 10 საათზე თავი მოიყარეს სახალხო სახლში და იქიდან მუზეუმის დასათვალიერებლად გაემგზავრნენ. დათვალიერებამ ორს საათს გასტანა.

21 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, კავკასიის ქალაქების წარმომადგენლებმა სახალხო სახლის ეზოში საერთო ფოტოგრაფიული სურათი გადაიღეს.

✦ **„რუსსკია ვედომოსტი"-ს იუბილეს გამო.** 21 ნოემბერს კავკასიის ქალაქის წარმომადგენლებმა ბაქოს ქალაქის საბჭოს ხმოსნის ტერ-მიქაელიანცის წინადადებით მისალოცი დეპეშა გაუგზავნა „რუსსკია ვედომოსტი"-ს რედაქციას ამ გაზეთის არსებობის 50 წლის თავის შესრულების გამო. ბ-ნ ტერ-მიქაელიანცისავე წინადადებით წარმომადგენლებმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს აგრეთვე მოსკოვის ჟურნალის „გოროდსკოე დელო"-ს (საქალაქო საქმე) რედაქციას, რომელიც აგერ მეოთხე წელიწადია ემსახურება სამუნიციპალო საქმეთა გამორკვევას.

✦ რედაქციამ მიიღო **ნოტები „გენაცვალე"**. სიმღერა ბორჯიოვანისა, ტექსტი ი. გრიშაშვილისა. ნოტები გამოცემულია ი. ივანიძის მიერ. გამოცემა კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, სუფთად არის დაბეჭდილი საუცხოვო ქაღალდზე და ღირს სულ 25 კაპ. აგრეთვე მიიღო რედაქციამ გრ. ჩარკვიანის მიერ შედგენილი და „სორაპნის" ლამაზად გამოცემული **კედლის კალენდარი 1914 წლისა.** ფასი ორი აბაზია.

✦ **„ვეფხის ტყაოსნის" გამოცემის გამო.** გამომცემლობა „მწიგნობრობის ქვეყანა" გვთხოვს გამოვაცხადოთ ხელის მომწერთა და კომისიონერთა საყურადღებოდ, რომ „ვეფხის ტყაოსნის" მეცნიერული გამოცემის (ი. აბულაძის რედაქტორობით) წიგნის ბეჭდვა წესიერად მიმდინარეობს და დაურიგდება აგენტებსა და ხელის მომწერლებს იანვარში—აგენტებმა ხელის მომწერთა სიები და ანგარიშები უნდა წარმოადგინონ არა უგვიანეს 5 დეკემბრისა, რადგან საჭიროა ხელის მომწერთა რაოდენობის გამორკვევა და იმის მიხედვით წიგნების რიცხვის დაბეჭდვა. 1 დეკემბრის შემდეგ აგენტებთან ხელის მოწერა შესწყდება. 1 დეკემბრის შემდეგ ხელის მოწერა 15 დეკემბრამდე გაგრძელდება, მხოლოდ წიგნის დაკვეთის მსურველთ უნდა მიმართონ პირდაპირ გამოცემის რედაქტორს. ფული და კორესპონდენციები იგზავნება შემდეგი მისამართით: **ტფილისი, კაბგეროვსკაია, სახ. № 29. იუ. ს. აბულაძეს.** ხელის მოწერით წიგნი ღირს: კარგ ქაღალდზე, ძვირფასი ყდით—2 მან., მდარე ქაღალდზე 1 მან., ხელის მოწერის შეწყვეტის შემდეგ წიგნი ეღირება: კარგ ქაღალდზე ყდით 3 მანეთამდე, მდარე ქაღალდზე—1 მ. 50 კ.

✦ **მსახიობ კ. ყიფიანის იუბილეს გამო.** 20 ნოემბერს ქართულ თეატრის შენობაში დამსახურებულ მსახიობის კ. ყიფიანის საიუბილეო კომისიის კრება მოხდა. კომისიამ დაადგინა: 1) იუბილე გამართოს 26 იანვარს ქართულ თეატრში, 2) დაევალოს ივ. გომართელს იუბილარის დაწვრილებით ბიოგრაფიის შედგენა, და 3) დაევალოს კომისიის მდივანს დ. დუმბაძეს შედგენა მოწოდებისა, რომელითაც საზოგადოებას მიმართავენ იუბილეში მხურვალე მონაწილეობის მისაღებად. საიუბილეო კომისიის წევრებად არიან, თ-დი პ. მ. თუმანიშვილი, თ-დი გ. მ. თუმანოვი, ნ. ა. ტარსაიძე, ი. ე. ზურაბიშვილი, ი. გ. გომართელი, ა. რ. წუწუნავა, თ-დი ი. ზ. ანდრონიკაშვილი, ი. მერკვილაძე, გ. დ. ჟურული, ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი, ვ. ა. აბაშიძე, კ. ს. მესხი, ვ. ლ. გუნია, თ დი კ. ზ. მაყაშვილია თ დი გ. ნ. დიასამიძე, ა. ბ. მდივანი, მხცოვანი მგოსანი აკაკი, ფ. გ. გოგიჩაიშვილი, პ. პ. გელეიშვილი, ნ. ი. საგინაშვილი, დ. მ. დუმბაძე, წარმომადგენელნი: „სახალხო გაზეთი"-სა, „კლდე"-სი და „ზაკავკაზიე"-სი კნეინა ა. ა. მაჩაბლისა, ა. ბ. შიხინაშვილი და პ. გ. მაგრაძე.

✦ **ლექციები.** სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეების საზოგადო კლუბს აზრად აქვს მოკლე ხანში თვის წევრთათვის ლექციები მოაწყოს სხვა და სხვა საზოგადოებრივ თემაზე.

✦ **სკოლის დღესასწაული.** 26 ნოემბერს ტფ. საეპარქიო სასწავლებლის ეკლესიის დღესასწაული იყო. ამის გამო ამ დღეს საქართველოს ეგზარხოსმა ალექსიმ სამღვდელოების თანამწირველობით სადღესასწაულო წირვა გადაიხადა, რომლის შემდეგაც მოსწავლე ქალებს შესაფერის სიტყვით მიმართა. წირვას, სხვათა შორის, მეფის მოადგილის მეუღლე გრაფინია ე. ა. ვორონცოვა-დაშკოვისა დაესწრო.

✦ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის** ბალანსის საბოლოოდ შედგენა ჯერჯერობით ვერ მოასწრო ქალაქის საბჭოს საბიუჯეტო-საფინანსო და სარევიზიო კომისიის შეერთებულმა კრებამ, ამიტომ ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ ორშაბათს საბჭოს კრების განსახილველ საგანთა სიაში აღარ იქნება შეტანილი. შეერთებული კრება ბალანსის შედგენას 26 ნოემბერს დაასრულებს.

✦ **დეპუტაცია მეფის მოადგილესთან.** კავკასიის ქალაქების წარმომადგენლებმა საგანგებო დეპუტაცია აირჩიეს, რომელსაც დაავალეს, მეფის მოადგილეს გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვს პირადად მადლობა გადაუხადოს კრების მოწვევის ნების დართვისა და კრების საპატიო თავმჯდომარეობის მიღებისათვის. დეპუტაციაში შედიან კავკასიის ქალაქების იმ მოურავები, რომელნიც ტფილისში არიან.

✦ **შინა მრეწველობის მუზეუმის დასათვალიერებლად** გუშინ კავკასიის ქალაქების წარმომადგენელნი შინა მრეწველობის კომიტეტმა მიწვია. მუზეუმის დათვალიერება განზრახულია დღეისთვის.

✦ **მიხეილ ტვერელის ეკლესიამ** (ვერაზე, დედაბრის ველზე) გუშინ თვისი დღესასწაული გადაიხადა. ეკლესიას დიდძალი ხალხი მიაწყდა. მწირველი იყო საქართველოს ეგზარხოსი ალექსი. წირვას დაესწრნენ მეფის მოადგილე გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი მეუღლით და სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა უმაღლესი წარმომადგენელნი.

საზოგადოებანი და კრებები

✦ დღეს, საღამოს 8 საათზე დეპუტატთა საკრებულოში მოხდება **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების** მორიგი კრება, რომელზედაც შ. ამირეჯიბი წაიკითხავს რეფერატს. სხვათა შორის, საზოგადოება აირჩევს ახალ წევრებს.

✦ **კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრება** გუშინ, ნაშუადღევის 4 საათზე დასრულდა. კრებაზე სულ 164 წარმომადგენელი იყო; აქედან სხვა ქალაქებიდან იყო მოსული 36 კაცი. კრებაზე იყო 4—ქალაქის მოურავი, 3 ქალაქის მოურავის მოადგილე და 5 ქალაქის მამასახლისი. სულ წარმომადგენლებს 9 კრება ჰქონდათ, 37 მოხსენება მოისმინეს და 68 რეზოლუცია გამოიტანეს. რეზოლუციებს მოვიყვანთ.

✦ **„კავკასიის კავშირის" საზოგადოების** წევრთა საგანგებო კრება 21 ნოემბერს მოხდა ბავშვთა თავშესაფარის შენობის ყიდვის თაობაზე. ამ ჟამად შესაფარი მოთავსებულია ხარფუხში, საქართველოს საეპარქიო საბჭოს შენობაში, რომელსაც საბჭო 5,000 მან. აფასებს. კრებამ დაადგინა, შენობა იყიდოს ამ ფასად. საბჭოსთან მოლაპარაკება საზოგადოების გამგეობას დაავალა.

სასამართლო

✦ **ექიმ ლურის საქმე.** ბარონ ფონ-კუჩენბახის საჩივრის გამო სასამართლომ ექიმს ლურს ოთხი თვის ციხე მიუსაჯა. მანიფესტის ძალით ეს სასჯელი ორის თვით შეუმცირდება. დაწვრილებით ხვალ.

ბაქო

✦ ბაქოს ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმა სათათბიროს წევრებს დეპეშებით მიმართეს, იშუამდგომლონ სათათბიროს კომისიაში მოხელეთათვის ჯამაგირის მომატებისათვის. მოხელეებმა ორი დეპეშა გაგზავნეს. ერთი გაუგზავნეს სათათბიროს წევრს გლადიშს, სადაც დაჟინებით სთხოვდნენ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა შუამდგომლობას მხარი დაუჭირონ. მეორე დეპეშა თითქმის იმავე შინაარსისა გაუგზავნეს საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს ალექსეევს, სათათბიროს წევრს დემჩენკოს, კრუპენსკის, შინგარევს და სკობელევს.

მოხელეთა დეპეშებმა მთავრობის ყურადღება მიიქცია. დეპეშების გაგზავნის საქმის გამო გამოსაძიებლად გაიგზავნა საფოსტო ოლქის უფროსის თანაშემწე კორშიგო. კორშიგო გამოძიებას შეუდგა.

✦ გაზეთი „ბაკუ" სწერს: 16 ნოემბერს, ღამით, საფოსტო მატარებელი, რომლითაც მოდიოდა საქართველოს ეგზარხოსი **ალექსი,** სადგურ ძეგამზე კინაღამ არ დაეჯახა საქონლის მატარებელს და უბედურება არ დატრიალდა. მატარებელი შეცდომით სხვა ლიანდაგზე გაუშვეს; მის პირდაპირ მიდიოდა საქონლის მატარებელი. მემანქანემ დროზე შეამჩნია ეს, ორთლქმავალი შეაჩერა და უკანვე დააბრუნა სადგურისაკენ.

ფოთი

✦ დღეს, 23 ნოემბერს, ადგილობრივ გიმნაზიის მშობელთა საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად, ქ-ნ კუშელავას გამგეობით გაიმართება **საღამო.** სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებენ მომღერალი ივ. სარაჯიშვილი დი ი. გრიშაშვილი.

პოლიტექნიკუმის გედი[*]

2. საცდელ მიწების მოწყობა—საცდელი მინდორი, ვენახი, ხეხილის ბაღი და სხვა.

ა) ნავთლუღში. კომისიამ შესაძლებლად სცნო მტკვრის ნაპირას მდებარე მიწაზე (ზომით 44 დესეტინა), საცდელ მინდვრის მოწყობა. ამ ადგილის ზედაპირი ვაკეა, ოდნავ ამაღლებული ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. მანთაშევის ბაღის მომიჯნავე ადგილი უსწორ-მასწორია. ნიადაგი თიხნარია, საკმაო სიღრმისა და ამასთანავე ერთგვარი. მიწა თანდათან მთის კალთებს ეფინება. ყველაზე თანაბარი და სწორი ადგილი, თუ ძველ სასაფლაოს ადგილსაც ჩავთვლით, 44 დესეტინას შეიცავს. ეს ადგილი შეიძლება საცდელ მინდვრად გამოდგეს, როგორც მისი თანაბარი ნაწილი, აგრეთვე უსწორ-მასწოროც. საერთო ნაწილიდან უნდა გამოირიცხოს უსწორ-მასწორო ადგილი და ძველი სასაფლაოს მიწა; ეს ადგილები განაყოფიერებულია და ამის გამო იქ ბოსტნის გაშენება შეიძლება. მტკვართან ახლო მდებარეობა აადვილებს მიწების მორწყვას წყლის საქაჩავით. გამოსადეგი მინდორი შეიცავს 40 დესეტინას. არა სასურველად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამ მიწას ზედ შუაზე გზა სჭრის. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ინსპექტორის ტიმოფეევის თანახმად კომისიამ საბურთალოზედაც სცნო შესაძლებლად საცდელი მინდვრის მოწყობა. კომისია სრულიად იზიარებს ტიმოფეევის აზრს, რომ „როგორც ნიადაგის ღირსებით, აგრეთვე მისი ერთგვარობით საბურთალოს ადგილი გაცილებით უკეთესია ნავთლუღის მამულზე".

გზის ჩრდილოეთით თანაბარი ადგილი თანდათან უსწორ-მასწორო ხდება. დასავლეთით ნიადაგის ზედაპირი უფრო უსწორ-მასწოროა. აქ ნიადაგი შლამ ნარევი თიხნარია, საკმაო სიღრმისა და შედარებით უფრო ნაყოფიერი და ერთგვარი. საცდელ მინდვრის მოსაწყობად გამოსადეგია გზის სამხრეთით მდებარე ადგილი, რომელიც დაახლოვებით 30 დესეტინას შეიცავს. მამულის ერთი ნაწილი, რომელიც გზის ჩრდილოეთით მდებარეობს, გამოსადეგია ხეხილის ბაღის გასაშენებლად.

3. სასწავლებლის სამეურნეო ნაწილის ორგანიზაცია.

როგორც ზევით იყო მოხსენებული, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის აზრით, ინსტიტუტისთვის საჭიროა 150 დესეტინა საცდელ მინდვრის მოსაწყობად; ამასთანავე ნიადაგი თვისი ბუნებრივი თვისებით უნდა იყოს გამოსადეგი და არა ხელოვნურის მორწყვით.

სასწავლებლის სამეურნეო ნაწილისთვის განზრახული მიწები ავლაბრისა და კუკიის მიწები, ზომით 150 დეს., კომისიამ ტიმოფეევის აზრის თანახმად, გამოუსადეგრად სცნო. უვარგისად იყო ცნობილი აგრეთვე ს. ნ. ყაზახოვის მამული ლისის აგარაკში.

კომისიამ დაადგინა: რადგანაც სამეურნეო ნაწილისთვის მიწების სარგებლობა ინსტიტუტის გაშენების ექვსი წლის შემდეგ იქნება შესაძლებელი, ამისთვის კომისიამ ეს საკითხი არ გადაჰსწყვიტა და ინსტიტუტის საბჭოს დაავალა ამ საკითხის გამორკვევა.

4. წყალსადენის მოწყობა.

წყალსადენს ჰსაჭიროებს მხოლოდ ინსტიტუტის სამოსახლო ადგილები, ა. ნავთლუღში წყალსადენის მოწყობა არ არის საჭირო, რადგანაც სამოსახლო ადგილებზე გადის ქალაქის წყალსადენის მილი ახალ სასაკლაოსთვის. ბ. საბურთალოს მამულის სამოსახლო ადგილებისთვის საჭიროა სემინარის შენობიდან 1.580 საჟენის მანძილზე წყალის მილის გაყვანა, რაც 17,380 მანეთად დაჯდება.

5. ელექტრონით განათება გზებისა.

ა) ნავთლუღში ელექტრონით განათება გზებისა 200 მანეთი დაჯდება განათება საჭიროა კახეთის გზატკეცილიდან ინსტიტუტის სამოსახლო ადგილებამდე. ბ) საბურთალოში ელექტრონით განათება 3160 მანეთი დაჯდება. აქ განათების მოწყობა საჭიროა სემინარიიდან ინსტიტუტამდე.

6. არხების მოწყობა.

ა) ნავთლუღიდან მტკვარში არხების გაყვანა დაჯდება 5,040 მანეთად ბ) საბურთალოდან მტკვარში არხების გაყვანა დაჯდება 32,400 მანეთად. ვერის ხევამდე კი—2,600 მ.

კომისიამ არხის გაყვანის მეორე ვარიანტი ამჯობინა საბურთალოსთვის.

7. საცდელ მინდვრების მორწყვა,

ა. კომისიამ ორი სპეციალისტის აზრისა თანახმად, დაასკვნა: ნავთლუღის მამულის 44 დესეტინა, რომელიც საცდელ მინდვრის მოსაწყობად არის განზრახული, სულ უბრალოდ და საიმედოდაც მოირწყვება წყლის საქაჩავის მოწყობით მტკვარზე.

წყლის საქაჩავის გაკეთება, აგრეთვე პროექტის შედგენა და მუშაობის ზედამხედველობა დაჯდება 15,000 მანეთად. და ყოველწლიური საექსპლოატაციო ხარჯი—3,000 მ.

ბ. ამავე სპეციალისტების აზრით საბურთალოს 55 დესეტინაც შეიძლება ირწყვებოდეს საქაჩავით მტკვრიდან აყვანილის წყალით.

საქაჩავის გაკეთება დაჯდება 32,000 და ყოველწლიური საექსპლოატაციო ხარჯი—5,480 მ.

ერთდროულ ხარჯს უნდა მიემატოს კერძო მეპატრონეთა მიწების საფასური, რომელზედაც გაივლის არხი; მტკვრიდან საცდელ მინდვრამდე არხი კერძო მეპატრონეთ ჩამოაჭრის 1,500 საჟენს, რაც დაჯდება 6,000 მანეთად.

ამგვარად წყლის საქაჩავის მოწყობის ხარჯი უდრის—38,000 მანეთს.

(შემდეგი იქნება)

კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა მეორე კრება

20 ნოემბერი.

კრება იწყება საღამოს 9 საათზე კავკავის ქალაქის მოურავის მოადგილის **პ. დ. პოლიაკოვის** თავმჯდომარეობით.

საყინულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა მეშვიდე კრების მომწვევ კომიტეტის მდივანი, **ინჟინერი ნ. ა. ვასილიევი** კითხულობს ორს მოხსენებას. პირველი შეეხება ცივად ვაგონით ტფილისიდან პეტერბურგ-მოსკოვში სურსათ-სანოვაგით წაღებას. მომხსენებლის სიტყვით, ამ პირველმა ცდამ ცხადჰყო ფრიად დიდი მნიშვნელობა ცივად ვაგონებისა, რომლითაც ტფილისიდან რუსეთში სურსათ-სანოვაგე კარგად შენახული ჩავიდა. მეორე მოხსენებაში ავტორი ეხება საყინულეთა მოწყობის საქმეს, როგორც საბაზრო ფასების საუკეთესო მომწესრიგებელს. მომხსენებლის წინადადებით თანახმად კრება ერთხმად აღიარებს, რომ ქალაქებში საჭიროა სხვა და სხვა ადგილას საყინულეთა მოწყობა.

ხანგრძლივ კამათს იწვევს საკითხი ცივად მატარებლების შესახებ. კრების ერთს ნაწილს ცივადი მატარებლები სასარგებლოდ არ მიაჩნია, რადგანაც კავკასიიდან სურსათ-სანოვაგეს სულ სხვაგან გაზიდავენ და აქ კი აღარა დარჩება რაო და თუ დარჩება მამასისხლად ეღირებაო. კრების მეორე ნაწილი ამ აზრს არ იზიარებს და ამბობს: მართალია კავკასიიდან მრავალი სურსათ-სანოვაგე სხვაგან იქნება გაზიდული, მაგრამ სამაგიეროდ აქ შემოვა ფული და ის სურსათ სანოვაგე, რომელიც აქ არ იშოვება და სხვაგან კი ბევრიაო.

კრებამ საკითხი ცივად ვაგონების შესახებ გადაუწყვეტი დასტოვა, რადგანაც ეს საქმე ჯერ-ჯერობით მეტად ახალია, ფართო გავრცელება არ მისცემია და შემდეგში თვით ცხოვრება დაგვანახვებს ცივად მატარებლების ღირსება-ნაკლსაო.

ამის შემდეგ კრება მსჯელობს ცივად მატარებლების მნიშვნელობაზე კერძოდ კავკასიისთვის, კრება ერთხმად საჭიროდ აღიარებს, რომ დიდი მნიშვნელობა იქნება ადგილობრივს ცივად მატარებლების მოწყობას, რომელიც კავკასიის ერთის ქალაქიდან სურსათ-სანოვაგეს მეორეში გადაიტანს.

ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანი ექიმი **მ. გ. ლუნკევიჩი** (სამხედრო-სამედიცინო ლაბორატორის გამგე) საკმაოდ ვრცლად ჩამოსთვლის კავკასიის სამხედრო ოლქში გადამდებ სენის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებს და საჭიროდ სცნობს: 1) ჯარის კაცთა შორის გადამდებ სენის წინააღმდეგ ბრძოლის საქმის გასაუმჯობესებლად საჭიროა ქალაქის თვითმმართველობებმა ქალაქებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წყალსადენებს, ნაგვის გატანას, სურსათ-სანოვაგეს და საერთოდ სასანიტარო-სამკურნალო საქმეს. 2) სასურველია, რომ გადამდებ სენის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს, რომელსაც ჯარში იღებენ, ერთნაირად ანხორციელებდნენ ქალაქების მცხოვრებთა შორისაც და 3) საჭიროა ქალაქის თვითმმართველობისა და სამხედრო უწყების გაერთიანებული მოქმედება გადამდებ სენის გაჩენის დროს.

კრების მონაწილენი ერთხელ კიდევ აღნიშნავენ, რომ ძალიან ხშირად სამხედრო და მთავრობის სხვა უწყება სასანიტარო სავალდებულო დადგენილებებს არ ემორჩილება და გადამდებ სენის გაჩენის დროს ამით ხელს უწყობენ ამ სენის გავრცელებას. აღიიშნულ იქმნა ისიც, რომ ასეთ სენის გაჩენის დროს სხვა და სხვა უწყება და დაწესებულება ცალ-ცალკე მოქმედებს და სენის საწინააღმდეგო ბრძოლაში არავითარი გეგმა არ არსებობს.

კრება ხანგრძლივი და ცხარე კამათის შემდეგ სასურველად აღიარებს, ყველა უწყება დაემორჩილოს ქალაქის სავალდებულო სასანიტარო დადგენილებას და სენის გაჩენის დროს ყველა უწყებამ საერთო გეგმით იმოქმედოს.

დასასრულ ტფ. ქალაქის სასანიტარო ექიმი **ლ. ხ. ქალანთაროვი** კითხულობს თვის მოხსენებას ნაგვის გადაყრის შესახებ. მომხსენებელს, რასაკვირველია, არ აკმაყოფილებს ახლანდელი წესი ნაგვის გადაყრისა და მოითხოვს ნაგვის გადაყრის საქმის ძირიანად შეცვლა. ამ ჟამად ნაგვის გადაყრა ეზოებიდანა და სამზარეულოდან სახლის პატრონთა მოვალეობას შეადგენს, მომხსენებლის აზრით კი ეს საქმე ქალაქის თვითმმართველობის ხელში უნდა გადავიდეს; და სახლის პატრონებს ეს მოვალეობა უნდა მოშორდეს და ნაცვლად დასაფასებელ გადასახადთან ერთად ფული უნდა გადაიხადონ. მომხსენებელს არ მოსწონს არც წესი, რომ ნაგავს თვით ქალაქის შუაგულ ნაწილში ან ქალაქ გარედ მდინარეში ჰყრიან, რადგანაც ნაგავი წყალს აჭუჭყიანებს, აყროლებს და ათასგვარ სენის გამავრცელებელ ბუდედ ჰხდის. მომხსენებლის აზრით, ნაგავი ქალაქის თვითმმართველობამ ქალაქ გარედ უნდა გაიტანოს და იქ დაწვას საგანგებო ფეჩებში.

ბაქოს ქალაქის წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ ასეთი წესი ნაგვის გადაყრისა ბაქოში უკვე შემოღებულია, თუმცა საქმე მაინც ჯეროვან დონეზე არ არის დაყენებული; და სახლის პატრონებს ამ საქმისთვის ფული ჰხდებათ.

კრებამ საჭიროდ აღიარა ასეთ წესდების შემოღება და ხარჯის ჰდაკისრება სახლის პატრონთათვის, მით უფრო, რომ, როგორც კრების ერთმა წევრმა განაცხადა, მიმდინარე წლის იანვარში ახალი კანონი გამოსულა, რომელიც ქალაქებს ასეთ გადასახადების გაწერის ნებას აძლევს.

21 ნოემბერი.

კრება დილის 11 საათ ნახევარზე იწყება ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილის **თ-დ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის** თავმჯდომარეობით, რომელიც კრების საყურადღებოდ აცხადებს, რომ კრებები ერთის დღით გაგრძელებულია და ხუთშაბათის ნაცვლად პარასკევს, 22 ნოემბერს დასრულდება. ამასთანავე აღნიშნავს, რომ კრების დღიურის პირველ ნომერში, სადაც ჩამოთვლილნი არიან პრესის წარმომადგენელნი, შემთხვევით გამოტოვებულნი არიან „რეჩ"-ისა და „სახალხო გაზეთი"-ს წარმომადგენელნი, რომელნიც ყველა კრებას ესწრებიან.

ამის შემდეგ კრება ა. ს. ბაბოვის წინადადებით ერთხმად ადგენს, მადლობა გამოუცხადოს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რომელმაც კრების მონაწილეთ საპედაგოგიო მუზეუმის დათვალიერების საშუალება მისცა.

ჩქარი სამკურნალო დახმარება.

ქალაქები იზრდებიან: ასე დაიწყობს თვის მოხსენებას ამ სათაურით ჩქარის დახმარების ტფ. სადგურის ექიმი ქალი ვ. პ. უმანსკისა—,მასთან ერთად დიდდება უბედურ შემთხვევათა რიცხვი; ქალაქს მოშხამული ჰაერი დღითი დღე ჰქნის ახალ-ახალ მოულოდნელ ავადმყოფობას და შესამჩნევად ადიდებს ჩვეულებრივ ავადმყოფთა რიცხვს. ასეთ პირობებში საჭირო გახდა ჩქარის დახმარების აღმოჩენა, რომელიც შეძლების და გვარად ყველა ქალაქმა უნდა მოაწყოს. ტფილისის ცდამ ნათლად დაამტკიცა დიდი მნიშვნელობა ჩქარის დახმარების სადგურისა. დასასრულ ექიმი ქალი შემდეგს აზრს ადგება თვის მოხსენებაში: 1) ჩქარი სამკურნალო დახმარება აუცილებლად უნდა მოეწყოს მჭიდროდ დასახლებულ ცენ-

---

[*] იხ „სახალ. გაზ." № 1049.

ტრებში, 2) ამ საქმის მოწყობაში საზოგადოებამ მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს, 3) ამ საქმეს ნივთიერი დახმარება უნდა აღმოუჩინოს ქალაქის თვით-მმართველობებმა, 4) წყაროები: გადასახადი დაედოს სამრეწველო დაწესებულებებს და იმ შენობებს, რომელსაც ახლად აგებენ, 5) ქალაქის ამბულატორიებთან ღამ-ღამობით ექიმთა მორიგეობა უნდა დაწესდეს და 6) ღამით სამკურნალო დახმარებისთვის 1 მან. დაწესდეს, ღარიბთათვის კი უფასოდ.

ა. ხ. ბაბთვი და გ. დ. ჟურული აღნიშნავენ, რომ სახლებსა და სამრეწველო დაწესებულებზე გადასახადის გაწესების უფლება კანონით ქალაქებს არა აქვთ და თუ ეს წესი რუსეთის ზოგიერთ ქალაქებში არსებობს, ეს იქ ნებაყოფლობით არის, ორატორნი მაინც ურჩევენ კრებას, სცადონ ეს საშუალება.

კრება ქ-ნ ჟუმანკის მოხსენების წინადადებას იღებს.

წიგნებისა და წერილების დეზინფექცია.

ამ საგანს თვის მოხსენებაში ეხება საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობის თავმჯდომარის ამხანაგი პროვიზორი კ. ს. სარქისოვი და ამბობს: წიგნები და წერილები ავრცელებენ სხვა და სხვა სენს, როგორც ტანისამოსი და ამიტომ საჭიროა სავალდებულოდ გახდეს წიგნებისა და წერილების დეზინფექცია, რადგანაც ამის საშუალებანი მეცნიერებას უკვე მოეპოვება.

მ. ა. ჯაბარი კრებას ურჩევს, გამოსცენ ქალაქის თვით-მმართველობებმა სავალდებულო დადგენილება დეზინფექციის შესახებ.

გ. დ. ჟურული იმ აზრისაა, რომ საკითხი ყოველმხრივ გამოსარკვევად კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას უნდა გადაეცეს.

კრება ბ-ნ ჟურულის წინადადებას ეთანხმება.

ლენქორანის საჭიროებანი

ამ სათაურით მოხსენებას კითხულობს ლენქორანის ქალაქის ბეითალი ვ. მ. ბოგრიავლენსკი. მოხსენების შინაარსი მოკლედ შემდეგია: ლენქორანი მდებარეობით საუკეთესო ქალაქია. მცხოვრებთა რიცხვი 13,000 სულს უდრის; აქედან 9,000 სული მაჰმადიანი. წლიური საქალაქო ბიუჯეტი მხოლოდ 83,000 მან. შეადგენს, მაგრამ ქალაქის თვითმმართველობამ 15 წლის განმავლობაში უკვე შესძლო ჭაობების ამოშრობა, ტალახის თავიდან აცილება, მალარიის აღმოფხვრა და სასანიტარო-სამკურნალო საქმის რიგიანად დაყენება: სადეზინფექციო კამერისა, საქალაქო ბანკისა, სასალახოსი და სხვათა მოწყობა. ქალაქის თვითმმართველობამ შუამდგომლობა აღძრა ლენქორანში საქალაქო აფთიაქის დაარსების შესახებ. ამას გარდა შუამდგომლობს, ლენქორანი საპორტო ქალაქად გადააქციონ, ნავთსადგური ააგონ და საფუთო გადასახადი დააარსონ ქალაქის სასარგებლოდ; საფუთო გადასახადი წლიურად ქალაქს 40,000 მან. მისცემს, რომელ ფულითაც შესაძლებელი გახდება ქუჩების რიგიანად მოწყობა და განათება; ლენქორანის თვითმმართველობას აგრეთვე შუამდგომლობა აღუძრავს, რათა ნება მისცენ ლენქორანიდან 12 ვერსის მანძილზე მდებარე სახაზინო მამულიდან თბილი გოგირდის წყალი გამოიყვანონ დ ლენქორანი ამით კურორტად გადააქციონ. დასასრულ ლენქორანის წარმომადგენელი ბ-ნი ბოგრიავლენსკი კრებას სთხოვს, ზემოჩამოთვლილ შუამდგომლობებს მხარი დაუჭიროს.

გ. დ. ჟურული. როგორც მოხსენებიდან სჩანს, ლენქორანი ბლომად ხარჯავს საშუალო სასწავლებლებზე და ისედაც მცირე ბიუჯეტს ახმარებს ისეთ საქმეს, რომელიც მას არ შეეხება. ასევე სხვა ქალაქების ბედიც. მთავრობა სასწავლებლებს იმ პირობით აარსებს, რომ ქალაქის თვითმართველობებმა დახმარება აძლიონ. ამიტომ კრებამ უნდა აღიაროს, რომ ქალაქის თვითმმართველობების საქმე პირველ-დაწყებით სწავლის გავრცელებაა, საშუალო განათლების საქმე კი მთავრობის მოვალეობას შეადგენს.

კრება ბ ნ ჟურულის წინადადებას მხედველობაში იღებს და ადგენს: ლენქორანის თვითმმართველობის შუამდგომლობას მხარი დაუჭიროს.

ქ. ნუხა და მისი მდგომარეობა.

ნუხის ქალაქის ხუროთ-მოძღვარი ბ. მ. მელიქ-ალახვერდოვის კრებას ასეთს საშინელს სურათს უშლის ამ ქალაქს მდგომარეობისას: ქუჩები ვიწრო და ჰუჭყიანი. მდინარე ფეხსადგილს წარმოადგენს. 240 ქარხანა, სადაც აბრეშუმს ამზადებენ, საშინელს სიმყრალეს და სიბინძურეს ავრცელებს მთელს ქალაქში (ქარხნები შუა ქალაქშია). საფაბრიკო ინსპექცია არ არსებობს. მომუშავენი ქარხნებში, სადაც მეტად ანტისანიტარული მდგომარეობაა, 11 საათს მუშაობენ. ქალაქის გარშემო ტყე ბარბაროსულად გაჩეხილია. ამის გარდა ქალაქი მუდამ წყალდიდობის საფრთხეშია. ჯერ კიდევ 1910 წელს წყალმა ქალაქის ერთი ნაწილი მოიტაცა. ქალაქი ამ ჟამად წყალდიდობისაგან დაცულია წნელის ღობით, რომელიც არავითარს იმედს არ წარმოადგენს. ამიტომ როგორც ცაზე ღრუბელი გამოჩნდება, მხოვრებნი კრთიან და კანკალებენ და მიეშურებიან ქალაქის უშიშარს უბანში, რომელიც მთელის ქალაქის მხოლოდ ერთს მეოთხედს შეადგენს; ამას წინად ქალაქის თვითმმართველობამ შუამდგომლობა აღძრა, რათა საეროზო თანხიდან ფული მიეცეს ქვის კედლის ამოსაყვანად; შუამდგომლობა ამ ჟამად მეფის მოადგილის კანცელარიაშია.

კრება ადგენს, ნუხის თვითმმართველობის ამ შუამდგომლობას მხარი დაუჭიროს.

ამავე მოხსენების გამო ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანი **ი. მ. დოლუხანოვი** აღნიშნავს: ნუხაში ქარხნები ხელოვნურად არის შედგენილი, ადგილობრივს საჭიროებას არ შეადგენენ და იქ ქუთაისის გუბერნიიდანაც კი ზიდავენ აბრეშუმის ჭიას; ეს ქარხნები ნუხის ანტისანიტარულ მდგომარეობის უმთავრეს ბუდედ უნდა ჩაითვალოს; იქ ქათამსაც კი რაღაც სიმყრალის გემო აქვს, რადგანაც ქარხნიდან გადაყრილი ჭიებით იკვებება; საჭიროა აღიძრას შუამდგომლობა ქარხნების დაკეტვისა, ან ქალაქის განაპირა ადგილებში გადატანის თაობაზე.

ამ განცხადებას კრება მხედველობაში იღებს.

დასასრულ ტფ. ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი **ი. ა. ბაკუნცვი** კითხულობს ვრცელსა და შინაარსიან მოხსენებას სახელოსნო-სამრეწველოს განათლების შესახებ. მომხსენებელს აუარებელი მაგალითი მოჰყავს სხვა და სხვა ქვეყნის ქალაქების ცხოვრებიდან და ყველასთვის ცხადჰყოფს სახელოსნო-სამრეწველო გათლების საჭიროებას ჩვენშიც.

კრება ამ მოხსენების გამო აღიარებს, რომ ქალაქის თვითმმართველობანი მოვალენი არიან, სახელოსნო განათლების გავრცელებას ფართოდ შეუწყონ ხელი შესაფერი სკოლებისა და კურსების მოწყობით.

შიმშილობა და კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.

პირველს წერილში დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელ შიმშილობის გამო, ჩვენ ის აზრი გამოვსთქვით, რომ საჭიროა დამშეულ ხალხის დახმარების საქმეში თვით საზოგადოებამ მიიღოს მონაწილეობა და მეტი გულმოდგინეობა გამოიჩინოს; რადგან ყველამ კარგად ვიცით, თუ რანაირია მთავრობის მიერ შედგენილი დამხმარე ორგანიზაციები, როგორ აგვიანებენ საქმეს, ამიტომაც ის აზრი გამოვსთქვით, რომ საჭიროა ისევ ჩვენვე მივეშველოთ ხალხს...

ჩვენი სიტყვები გამართლდა- განვლო ხუთმა თვემ მას შემდეგ, რაც შიმშილობის ნიშნებმა თავი იჩინა. პრესამ აღძრა საკითხი, მაგრამ, საქმით კი არა გაკეთებულარა, ჯერ კომისიები, თუ კომიტეტები, მთავრობა თუ ოფიციალური დაწესებულებანი ისევ არხეინად არიან, ჯერ... კიდევ ცნობებსა ჰკრეფავენ. კერძოდ ქუთაისის ადმინისტრაციამ მეფის მოადგილის კანცელარიას ამცნო: შიმშილობა აქ თუ არც კია მოსალოდნელი, თუ იქნება, რამე ასეთი, საგუბერნიო ადმინისტრაცია თავისი თანხებითაც გაუძღვება დამშეულ ხალხსაო. ჩვენ კი ვიცით, რომ თუ ქუთაისის ადმინისტრაციას რამდენიმე ათი ათასი მოეპოვება, მოუსავლიანობისგან დაზარალებულთა დაკმაყოფილებას ასი ათასობით ესაჭიროება ფული; საჭიროა როგორც სანოვაგე, ისე თესლეულობა და საქონლის გამოკვება. არ ვიცით, რითი ხელმძღვანელობდა ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაცია, როდესაც ასეთ დანაშაულს სჩადიოდა ხალხის წინაშე; დარწმუნებულკი ვართ, რომ ის ადმინისტრაცია, რომლის მეთაურმა გენ. სლოვოჩინსკიმ მთელ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ ყაჩაღ მძარცველები უწოდა მეფის მოადგილისადმი წარდგენილ მოხსენებაში, ის ადმინისტრაცია, რომლის აგენტებმა მთელი კოლხეთის საზოგადოება რამდენიმე დღით დაატუსაღა და კინაღამ შიმშილით არ ამოსწყვიტა, — ხალხისათვის საკეთილდღეო მოსაზრებით ვერ იხელმძღვანელებდა. უმაღლესი მთავრობა კი უეჭველად უნდა დაემყაროს საგუბერნიო ადმინისტრაციის მიერ შეკრებილ ცნობებს და მოხსენებას.

მეფის მოადგილემ სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, შეამცირეთ რკინის გზებზე ტარიფი ამიერ კავკასიაში დამშეულ ხალხთათვის გადასაზიდ სანოვაგეზე და საქონლის საკვებზეო. სამინისტრომ ეს შუამდგომლობა არ შეიწყნარა, და ეს იმითი დაასაბუთა, რომ შეიძლება ბოროტმოქმედება ჩაიდინონო. ამავე დროს თვითონ სამინისტრომ გააიაფა ტარიფი იმ რძეზე, ერბოზე და ისეთ სანოვაგეზე, რომელიც დასავლეთ ევროპისაკენ გააქვთ. ერთის მხრით მთავრობა ხაზინიდან რამდენიმე მილიონ მანეთს იძლევა დამშეულ ხალხის დასაკმაყოფილებლად, მეორე მხრით კი იგივე მთავრობა, უარს ამბობს ტარიფი შეამციროს დამშეულ ხალხისათვის სანოვაგე და საქონლის საკვების გადატანაზე. გადავიდეთ საზოგადო საკულტურო დაწესებულებებზე — კერძოდ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაზე, რომლის მიზანიცაა სასოფლო მეურნეობის უმაღლესი კულტურა ააყვავოს ხალხში, ყოველნაირად დაეხმაროს ხალხის მეურნეობასა. ჩვენა გვგონია, და ყველაც ასე იფიქრებს, რომ ამ საზოგადოების პირდაპირი მოვალეობას უნდა შეადგენდეს შიმშილობის დროს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ დამშეულ ხალხის დაკმაყოფილების საქმეში. ჩვენ კი რასა ვხედავთ? კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოება ბიუროკრატიულ დაწესებულებებზე უარესად იქცევა.

საკითხი შიმშილობის თაობაზე მხოლოდ ორი თვის წინედ აღიძრა. მაგრამ ამ ორი თვის განმავლობაშიც კავკასიის საზოგადოებას არა გაუკეთებია რა. 19 ნოემბერს მოხდა წევრთა საზოგადო კრება, მაგრამ აქაც უმეტეს ნაწილად სურვილები გამოითქვა, ვიდრე აქტიური მონაწილეობის მიღების სურვილი. თავმჯდომარეობდა საზოგადოების ვიცე პრეზიდენტი მეფის მოადგილის კანცელარიის მოხელე სოკოლოვი და მისი მოქმედება იქითკენ იყო მიმართული, რომ საზოგადოებას ეთქვა: ზოგიერთი შუამდგომლობა აღეძრათ, აქტიურად საქმეს მთავრობაც გაუძღვებაო. ამ კრებაზე სასტატისტიკო ბიუროს გამგემ **ვ. ლუპპოვმა** ფრიად დასაბუთებული მოხსენება წაიკითხა. მან აღწერა მოუსავლობის მდგომარეობა მთელ ამიერ-კავკასიაში. ამ ცნობებით დაამტკიცა, რომ იმერეთი ყველაზე მეტად არის დაზარალებული და ყველაზე უპირველესად იქაა საჭირო დახმარება. საჭიროა როგორც ხალხისთვის საზრდო, ისე თესლეულობა და საქონლის საკვები. ამაში უნდა დაეხმაროს კავკასიის საზოგადოება.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მთავრობამ ზოგიერთ გუბერნიაში უკვე მისცა ის თანხა, რომელსაც ადმინისტრაცია თხოულობდაო. ნახიჩევნის მაზრას 325 ათასი მანეთი, ბაქოს გუბერნიას 30 ათასი, ერევნის გუბერნიის შესახებ აღძრულია შუამდგომლობა 750 მან. და სხვაო. ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციამ კი აცნობა, რომ მათ ადგილობრივი თანხები აქვთ და ესეც საკმარისი იქნებაო.

შემდეგ წაიკითხეს მესაქონლეობის ბიუროს მოხსენება და შემდეგი რეზოლიუციები მიიღეს:

I შუამდგომლობა აღიძრას, რომ დაზარალებულ მხარეების ხალხს უსასყიდლოდ დაეთმოს სახელმწიფო ტყის საძოვრები საქონლის საკვებად.

II შუამდგომლობა აღიძრას, რომ თუ კი არის სადმე ამიერ კავკასიაში თავისუფალი სახელმწიფო საბალახოები, დაზარალებულ ადგილების მცხოვრებლებს ნება მიეცეს უფასოდ აძოვონ საქონელი.

Ш შუამდგომლობა აღიძრას, რომ დამშეულ გუბერნიებში ხალხის დასაკმაყოფილებელ სურსათისა და საქონლის საკვებზე რკინის გზაზე გადასატანი ტარიფი დაუკლონ.

ი. ქუთათელაძის წინადადებით შემდეგი რეზოლიუცია მიიღეს: აღიძრას შუამდგომლობა, რომ საკოოპერატივო დაწესებულებებს არსებულთ, როგორც ამ მოკლე ხანში დასაარსებლად განზრახულთ მიეცეს საკმაო თანხა.

ცხარე კამათი გამოიწვია იმან, თუ რანაირ მოქმედებას უნდა შეუდგეს საზოგადოება. თავმჯდომარის და ზოგიერთი მოხელე—წევრების აზრით კრებამ უნდა აირჩიოს ცნობების მიმცემი კომიტეტი და საშუამავლო კომიტეტი. ეს კომიტეტი შეჰკრებს ცნობებს. აცნობებს სანოვაგის ფასს და ამრიგად დახმარებას გაუწევს საზოგადოებას.

ი. ქუთათელაძემ წინადადება შეიტანა: საზოგადოებამ დაამოწმოს, რომ აღნიშნული ადგილები მოუსავლობისაგან დაზარალებულია და შუამდგომლობა აღძრას, რომ შემოწირულების მიღებას ნება მიეცეს, როგორც საზოგადოებას ისე ყველა რედაქციას. კრებამ ეს წინადადებას მიიღო.

გამოურკვეველი დარჩა ის, თუ რანაირად უნდა იმოქმედოს საზოგადოებამ; **გ. რცხილაძემ** ცხარე სიტყვა წარმოსთქვა და ნამდვილი სიმართლე უთხრა საზოგადოებას წევრებს: თქვენ მუშაობა არ გსურთ, თორემ ცნობების მიმღები ბიურორას გააკეთებსო. საჭიროა თვით საზოგადოებამ მიიღოს აქტიური მონაწილეობა და ითხოვოს მთავრობისაგან შესაფერი თანხაო. **თავმჯდომარემ** უარი განაცხადა, ფულს არ მოგვცემენ, საზოგადოებამ აქტიურ მონაწილეობას ვერ მიიღებს, გუბერნიებში არის მთავრობის კომიტეტები, რომელნიც ჩინებულად მუშაობენო. საზოგადოება თავს ვერ იდებს პრაქტიკულად საქმეები ჩარევასო.

აი, ამით გამოიხატა იმ საზოგადოების დახმარება ხალხისადმი, რომლის დანიშნულებაცაა ხალხის კეთილდღეობას ხელი შეუწყოს მეურნეობის სხვა და სხვა დარგის გაუმჯობესებით. ყველა ის რეზოლიუციები, რომელიც საზოგადოებამ მიიღო გუშინდელ კრებაზე სრულიად ფას დაკარგულია, რადგან შეიძლება საბალახოები მისცეს მთავრობამ, მაგრამ ვის მისცემს, ვინ განახორციელებს საქმეს? ვინ არის იმისი თავდები, რომ ქუთაისის ან სხვა ადმინისტრაცია, რომელიც ხალხს მტრულის თვალით უყურებს კარგად შეისწავლის საქმეს, ყოველ კერძო შემთხვევას გამოიკვლევს დ ისე დააკმაყოფილებს დამშეულებს? შეიძლება მთავრობამ ტარიფი დაუკლოს, მაგრამ რა უნდა გადაზიდოს დამშეულმა ხალხმა ამ ტარიფით. საჭირო იყო საზოგადოებას თავს ედვა დამშეულ ხალხის დახმარება. ისევ ხალხმა უნდა გაუწოდოს ხელი განსაცდელში მყოფ მოძმეებს, ისევ მათ უნდა გააკეთონ ის, რასაც ვერც ქუთაისის ადმინისტრაცია და ვერც ბიუროკრატიული დაწესებულებანი ვერ შეიძლებენ, რადგანაც საქმეს გულგრილად ეკიდებიან

კორდელი.

სომხეთა ცხოვრება

✦ ტფილისის სომეხ-გრიგორიანთა ეპარქიის უფროსი ეპისკოპოსი მესროპი ტფილისს დაბრუნდა სიღნაღ-თელავიდან, სადაც რევიზიის მოსახდენად იყო წასული.

✦ კავკასიის სომეხ მასწავლებელთა საზოგადოებას ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო საზოგადოების სასარგებლოდ გამართოს სალიტერატურო-სამუსიკო საღამო.

✦ დეკემბრის პირველ რიცხვებიდან ქ-ნ ს. ლაზარიანის რედაქტორობით ტფილისში გამოვა იუმორისტული ხახატებიანი ყოველ კვირეული ჟურნალი „მახლას“.

✦ ამ დღეებში ტფილისში რუსულ ენაზე გამოვიდა პიესა „პინ ასტვაწნერ“ (ძველი ღმერთები). თარგმანს ყველანი იწუნებენ.

✦ ცნობილ ორიენტალისტის ლინჩის გარდაცვალების (ლონდონში) გამო ადგილობრივმა სომხურ გაზეთებმა მის ხსოვნას წერილები უძღვნეს. როგორც ცხადია ლინჩმა დასწერა სომხეთის შესახებ წიგნი „არმენია“.

✦ სტამბოლში გამოვიდა ჟურნალი „ვერაწნუნდ“ (განახლება), ალექსანდრე ქალანთარის ხსოვნის აღსანიშნავად.

✦ ქ. ერევანში ნოემბრის 18-დან შეუდგნენ სომხის მწერლის ხ. აბოვიანის ძეგლის აგების მუშაობას.

✦ სომეხთა იუბილეების გამო დაარსებულ სასკოლო ფონდის სასარგებლოდ ნაფიცმა-ვექილმა გ. ჩალხუშიანმა დონის ნახიჩევანში შეაგროვა და ეჩმიაძინს გაგზავნა. 24,445 მანეთი.

✦ ძმებმა ღუკასოვებმა ქ. შუშაში სომხის საქალებო გიმნაზიის დასაარსებლად 200,000 მანეთი და უზარმაზარი ბაღიანი სახლი შესწირეს.

რუსეთი

ოქტომბრისტთა კონფერენცია.

10 ნოემბერს ოქტომბრისტთა კონფერენციის სხდომა მოხდა უკანასკნელი. სხვა და სხვა მოლაპარაკის შემდეგ დაბოლოვებითი სიტყვა წარმოსთქვა გუჩკოვმა; ოქტომბრისტთა პარტია ჯვარედინ გზაზე სდგას, რადგანაც მთელი რუსეთიც ამ ამ ჯვარედინ გზაზეა დამდგარი ჩვენ მხოლოდ ორი გზა გვაქვს, მხოლოდ ორი; პირველი გზა არის გზა ბრძოლისა, 17 ოქტომბრის მანიფესტის განსახორციელებლად, მეორე კი გზა დათმობისა, კომპრომისისა. რომელი გზა უნდა ამოვირჩიოთ, რათა ჩვენს მიზანს მივაღწიოთ? რა გზას უნდა დავადგეთ, რათა ამით რუსეთის კეთილდღეობას ხელი შევუწყოთ?

ეს საკითხი არის ყველა ჩვენთაგანისთვის წმინდათა წმინდა სათაყვანებელ მიზნის საკითხი. ორივე გზას თავის სიძნელეც სდევს. მაგრამ ყველაზე უარესი ის იქნება, თუ მოხიბლულნი მშვენიერ თანამგზავრებით, გავყვებით მათ. იცოდეთ, ეს გზა აგიყვანს ჯერედ არ ნახულ ჭაობისაკენ, რომელშიაც ჩაფლობა ადვილია, ამოსვლა კი ფრიად ძნელი. (ტაში).

ყველანი ერთშივართ შეთანხმებულნი—ეს არის უმთავრესი საკითხი დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობისა. რუსეთი ახალს საფუძველზე უნდა აშენდეს. სამირკვლად უნდა დაიდოს პოლიტიკური თავისუფლება და სოციალური სამართლიანობა. დიდის სიფრთხილით, დიდის მოწიწებით უნდა გადავიტანოთ ახალ რუსეთის ახალ წესწყობილებაში ყველა ის წესი ძველი რუსეთისა, რაც ჩვენთვის ფრიად ძვირფასია, რასაც რუსეთის ხალხი შესისხლხორცებია. ყველანი ერთსულოვნად ვაღიარებთ, რომ დღევანდელ მთავრობის პოლიტიკა, მისი გეზი აფერხებს და ჰპორკავს რუსეთის კულტურულ-ეკონომიურ განვითარებას. დღევანდელი მთავრობა დიდს საფრთხე! უმზადებს რუსეთს, დიდს განსაცდელში აგდებს მას.

მთელი რუსეთის საზოგადოების. უპირველეს ყოვლისა სათათბიროსი უწმინდესი მოვალეობაა, რომ რუსეთი გამოიყვანონ ნათელ გზაზე იმ გაუვალ და მოჯადოებულ წრიდან, რომელშიაც ჩვენი ცხოვრება მოუმწყვდევია მთავრობას. სათათბირომ უნდა ყოველი კანონიერი ღონისძიება გამოიყენოს, რათა განახორციელოს ის უდიადესი რეფორმები, რომელნიც ამ რამდენიმე წლის წინად უმაღლესად გვებოძა.

თითქმის ყველანი შესთანხმდნენ იმ საკითხშიც, რომ სათათბიროს ოქტომბრისტთა ფრაქციამ სათათბიროში საოპოზიციო ტაქტიკა აწარმოოს, იგი საქმის მსვლელობით იძულებულია მთავრობას ოპოზიციაში ჩაუდგეს.

გუჩკოვმა ილაპარაკა საორგანიზაციო საკითხებზე.

დასასრულ გუჩკოვმა სთქვა: კონფერენცია დასრულდება, დარჩება სათათბიროს ფრაქცია. მას მძიმე და სასახელო საქმის განხორციელება ეკისრება. ოქტომბრიზმი ჯერ კიდევ ემსახურება რუსეთის უფლებრივ საქმეს! (ძლიერი ტაშისცემა).

კონფერენციამ გუჩკოვის წინადადებით მიიღო რეზოლიუცია, რომელსაც სასურველად მიაჩნია რუსეთის კულტურულ-ეკონომიურ ადმინისტრატიულ ფართო განვითარებას; რეზოლიუციაში დაგმობილია: დღევანდელ მთავრობის პოლიტიკის გეზი, სახელმწიფო საბჭოს მოქმედება, რომელიც სათათბიროს ყოველ კეთილს საქმეს ჰპორკავს და გასაქანს არ აძლევს. რეზოლიუცია ოქტომბრისტთა ფრაქციას ავალებს ყოველ კანონიერის უფლებით ისარგებლოს, როგორიც არის: სათათბიროს ტრიბუნის თავისუფლება, შეკითხვათა უფლება, კრედიტების უარყოფა და სხვა, და ამით ხელი შეუწყოს 17 ოქტომბრის მანიფესტში აღნიშნული დებულებათა განხორციელებას.

რეზოლიუცია ერთხმად მიიღეს.

ბოლო სიტყვა კვლავ გუჩკოვმა წარმოსთქვა; მან იმედი გამოსთქვა, რომ სათათბიროს ფრაქცია ოქტომბრისტთა გადაწყვეტილებაში ჰპოვებს თვისდა სამოქმედოდ საკმაო ძალას და დახმარებასო (მხურვალე ტაში).

ა. ა. სტოლიპინი წინადადებას აძლევს კონფერენციას მხურვალე მადლობა გამოუცხადოს გუჩკოვს, რომელმაც 17 ოქტომბრის კავშირს შთაბერა ახალი სული და ძალა. (ტაში).

კონფერენცია საღამოს ექვს საათზე დასრულდა.

თეატრი და ხელოვნება

ქ. მესხის ბენეფისი.

ჩვენი მობენეფისენი ერთმანეთს ეჯიბრებიან საარქეოლოგიო დრამატიულ ნაწარმოების გამოძებნაში. ქ. მესხმაც არ უღალატა სხვა მსახიობებს და მგონი უკანასკნელად 11 წლის წინედ წარმოდგენილი ანდრიერ ლეკუვრერის დრამა „დიდებული არტისტი“ გამოამზეურა. თვით მობენეფისესათვის ამ პიესაში ძლიერ უმნიშვნელო როლია მიშონე რეჟისორისა, რომელიც მობენეფისემ გაცხოველა და შესაფერი ჰუმორიული ელფერი მისცა. ეს საღამო უფრო ნ. ჩხეიძის ბენეფისი იყო, რადგან ის იყო დედაბოძი მთელი წარმოდგენისა. მართლაც ანდრიენ ლეკუვრერის როლი ძლიერ საძნელოა. ფრიად ბევრი შრომაა საჭირო ანდრიენის ფსიხოლოგიის გამოხატვასა, მისი სულიერი კვეთების და უკანასკნელ მოქმედებაში აუტანელ სულიერ და ხორციელ ტანჯვის გადმოსაცემად. სწორედ მირონცხებული ნიჭის პატრონი უნდა იყოს მსახიობი, რომ შექმნას მთლიანი ტიპი ანდრიენისა და ასეთი შთაბეჭდილება მოახდინოს მაყურებლებზე როგორც ნ. ჩხეიძემ. სპეტაკი ხელოვნების სიყვარულით გატაცებული მსახიობი პირველ მოქმედებებში, გრძნობა გაღვიძებული, ანთებული, მესამეში—იჭვით გამხმაგებული, რომელსაც არ აშინებს მძლავრ პრინცესთან შეტაკება დ მკაცრად ამხილებს მას ბრწყინვალე არისტოკრატის წინაშე, სასოწარკვეთილი—უკანასკნელში, ასეთი ქალი მშვენივრად გაპიროვნა ნ. ჩხეიძემ და მხურვალე ტაში დაიმსახურა დამსწრეთაგან. მის პარტნიორს ი. ზარდალიშვილს აკლდა ზოგიერთი თვისება, რომელიც თან დაჰყოლია უმაღლეს არისტოკრატიის წარმომადგენელს გრაფ მორისსა. მას აკლდა კეთილშობილება, მედიდურება და არისტოკრატიზმი. გარდა ამისა, მარტო სიტყვების ლაპარაკი საკმარისი არ არის, საჭიროა თამაშთან შეფარდებული მიმიკა. ქ-ნი ქიქოძეს უვარგისი დიქციის გამო ბევრი სიტყვა იკარგება მისი როლისაგან, განსაკუთრებით მაშინ, თუ მსახიობი გვერდით სდგას ან მაყურებელთაგან პირს იბრუნებს. თამაშობას არა უშავდა რაგუნიამ—პრინსისა და შალიკაშვილმა აბატ დეშალის როლები კარგად შეასრულეს. „მარკიზებზე“ და „გრაფებზე“ არას ვიტყვით. საერთოდ ჩვენს სცენას არ ახსოვს ბრწყინვალე წოდებისა და სალონების ცხოვრების შესაფერი გადმოცემა. ჩვენ მსახიობებს არ ძალუძთ არისტოკრატიის როლის თამაში. მაგალითად პრინსის სალონში მყოფ მარკიზა დე პლელოს როლის შემსრულებლებმა ლორნეტის ხმარებაც არ იცოდა და სხვა.

რეჟისორს უნდა შევნიშნოთ, რომ არისტოკრატიულ დარბაზის კედელში იმოდენა ხვრელი არ იქნებოდა, როგორც პირველ მოქმედებაში „ან ფასი“ მარცხნივ კედელში. გარდა ამისა გარდინები პრინსის აგარაკის ოთახში მესამე მოქმედებაში და ანდრიენის ოთახში უკანასკნელ მოქმედებაში, ერთი და იგივე იყო, შანდლები და სანთლები რამდენიმე მოქმედებაშიც ერთი და იგივე იყო; გრაფ მორისის მეორე მოქმედებაში (კულისებში) საფრანგეთის მხედრის ძველებურ ტანისამოსთან, ჩექმებზე რუსის მხედრის ეხლანდელი დეზები ჰქონდა გაკეთებული. კულისებიც შეუფერებელი იყო. ყველა ეს წვრილმანია, მაგრამ მათ მეტი ყურადღების მიქცევა ესაჭიროება, რადგან ეს წვრილმანები ხშირად მხატვრულად დადგმულ პიესის შთაბეჭდილებას ასუსტებს. თეატრი სავსე იყო ხალხით. მობენეფისე ხანგრძლივი ტაშითა და საჩუქრით დააჯილდოვეს.

მელანი.

შაბათს, 23 ნოემბერს ქართ. სახ. წარმ. მმართველი წრე განაახლებს წარსულ სეზონში დადგმულს „რევიზორს“, რომელმაც საზოგადოებაში მეტად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. „წრის“ ყველა სც.-მოყ. გარდა მონაწილეობს მსახიობი ბ. კ. ყიფიანი და ქ-ნი ტასო აბაშიძე. რეჟისორი ალ. წუწუნავა პიესას სდგავს მოსკოვის სამხატ. თეატრის გეგმით. ადგილების ფასი 5—50 კ.

ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების მუსიკალურ სკოლის მოწაფეთა დილა: შესდგა ხუთშაბათს, 21 ნოემბერს, „ახალი კლუბის“ დარბაზში. დილამ ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა. ამ დილაზე დამსწრეთ შეუძლიან სთქვან, თუ რა საუცხოვოდ არის დაყენებუ-

ლი მუსიკალური განათლების საქმე საზოგადოების სკოლაში. რაც ხანი გადის, სკოლას მით უფრო ემატება საუკეთესო ხმები, საქმე უფრო ღონიერდება და მტკიცე ნიადაგს ჰპოულობს. პაწაწა 8—9 წლის ბავშვებიდან დაწყებული (ნემანი, დავიდოვი, ივანოვი—ვასილიევის კლასი) მოზრდილებამდე მშვენიერად ასრულებდნენ რთულ მუსიკალურ ნაწარმოებთ სკრიპკაზე და ფორტეპიანზე. აღსანიშნავი არიან აგრეთვე ქევხიშვილი და ყარანგოზიშვილი (ვიოლონჩელი)—კოპელნიცკის კლასი. ფორტეპიანოზე მშვენიერად დაუკრეს: ჩიგოგიძემ (კალაშნიკოვის კლასი), ეპიტაშვილმა (ამირაჯიბის კლასი), მინაევმა (ქ-ნ პოლტორაცკის კლასი), საკმაო რთული მუსიკალური ნაწარმოები მშვენიერად დაუკრეს როიალზე ფალიაშვილმა (ამირაჯიბის კლასი), ნელიუბოვამ (ფოგელის კლასი), მგალობლიშვილმა (ქ-ნ ქიქოძის კლასი), ქიქოძემ (ბერგ პივოვაროვის კლასი) და გვარაძეს ასულმა (ფორელის კლასი), რომელიც ტეხნიკით საუკეთესო მოწაფედ უნდა ჩაითვალოს", მომღერალთა შორის მშვენიერი ლირიული სოპრანო აქვს ალადაშს, მაგრამ მის მიერ შესრულებული რომანსები დაბალ ფარდებშია დაწერილი; საჭირო იყო მაღალ ფარდებში დაწერილი ნაწარმოების შესრულება. საუცხოვო კოლორატურული სოპრანო აქვს ქ. ნათიშვილს. ესაჭიროება დიქციის გასწორება და სწორი სუნთქვა. გაგვაოცა ბ-ნმა ლეჟავას ფენომენალურმა ბანმა პროფუნდითი, როგორც დაბალ ისე საშუალო ფარდებში, მას მშვენიერი სასიამოვნო მსხვილი ხმა აქვს, სრულებით ადვილად [illegible] უდაბლეს ნოტებს. მაღალ ფარდებში ჯერ ხმა უთხელდება, მაგრამ ვარჯიშობს და სწავლის შემდეგ გაისწორებს. მომავალი ეს ბევრს უქადის. ხალხი დილამ ბლომად დაესწრო და ძლიერ ნასიამოვნები დარჩა. **გან.**

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

21—22 ნოემბერი.

უცხოეთი.

საფრანგეთის კაბინეტის დამხობა.

პარიზი. დეპუტატთა პალატა. ახალ რენტის ლგოტების თაობაზე კამათის დროს დეპუტატმა დელპიერმა შესწორება შეიტანა: თვითონ მოწმობაში იყოს მოხსენებული ლგოტებიო. მთავრობამ შესწორება მიიღო. თუ პალატაც მიიღებდა ამ შესწორებას, ამით იგი მთავრობას ნდობას უცხადებდა; მაგრამ პალატის უმრავლესობამ, 290 ხმით, წინააღმდეგ 265-სა, შესწორება უარჰყო და ამით უნდობლობა გამოუცხადა მთავრობას. მინისტრები დაუყოვნებლივ გაემგზავრნენ ელისეის სასახლეში თანამდებობიდან გადადგომის თხოვნის მისაცემად.

პარიზი. კაბინეტის დამხობა შემდეგ პირობებში მოხდა. ფინანსთა მინისტრის დიუმონის სიტყვის შემდეგ, რომელიც მოითხოვდა რენტის განთავისუფლებას გადასახადისაგან, რადიკალ-სოციალისტებმა ერთსულოვანი იერიში მიიტანეს კაბინეტის წინააღმდეგ; ისინი განსაკუთრებით აღნიშნავდნენ იმ საფრთხეს, რაც შეუძლიან მოუტანოს შემოსავლის დაგვარ გადასახადის განხორციელებას, თუ მთავრობის მიერ მოწონებულ შესწორებას მივიღებთო. ამ აზრს ემყარებოდნენ საფინანსო კომისიის თავმჯდომარე მალვი, საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ნულანი, ჟორესი და კაიო. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მთავრობა გადასახადთა უთანასწორობას ჰქმნის და ამით პარლამენტს მომავლისთვის ხელებს უბორკავსო. ბარტუ პალატას მოუწოდებს დაიცვას ხალხის ინტერესები და დაამშვიდოს აღელვებული საზოგადოებრივი აზრი. ბარტუს ერთი დეპუტატი შეეკითხა, რას ჰნიშნავს მისი სიტყვა? ბარტუმ განმარტა: საბიუჯეტო კომისიის განცხადებას შეუძლიან მღელვარება გამოიწვიოს, მავნებელ გავლენას იქონიებს მთავრობის კრედიტსა და ხალხის ქონებრივ მდგომარეობაზეო. რადიკალთა სკამებზე საშინელი ხმაურობა ასტყდა. როდესაც დელპიერის ფორმულას კენჭი უყარეს და იგი ხმის უმეტესობით უარჰყვეს, რადიკალ-სოციალისტები ტაშის ცემით და სიხარულით მიეგებნენ კენჭის ყრის შედეგს. გაისმის ხმა: „ძირს სამი წლის სამხედრო ბეგარა"!

პარიზი. ჰავასის სააგენტო იტყობინება: პუანკარემ ბარტუს კაბინეტის გადადგომა შეიწყნარა. კაბინეტის კრიზისი ფრიად რთულ მდგომარეობასა ჰქმნის საფრანგეთში. სესხის რეალიზაციის საკითხი გამოურკვეველ დრომდე გადაიდება. მისი გადაწყვეტა კი საგანგებო ხარჯების გამო აუცილებელია. ყველა განცვიფრებულია ბარტუს ნიჭით გამბედაობით და ენერგიით. ჯერ-ჯერობით ბარტუს მოადგილეს არ ასახელებენ. სოციალისტები და რადიკალ-სოციალისტები უფრო კაიოს დაასახელებენ.

პარიზი. რადიკალთა გაზეთები ბარტუს კაბინეტის დამხობის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ბარტუ მემარჯვენეთა მიმართულებას აჰყვაო. სიამოვნებით აღნიშნავენ კაბინეტის დამხობას, როგორც ნიშანს თანასწორობის და სამართლიანობის გამარჯვებისას. გაზეთების უმრავლესობა კი დასძენს, რომ სოციალისტთა და რადიკალთა იერიშმა ბარტუს კაბინეტის წინააღმდეგ, საფრანგეთი ამ რთულ დროს დიდ გასაჭირში ჩააყენაო.

პუანკარე ებაასა ბარტუს, შემდეგ დიუბოსტს.

პარიზი. პუანკარემ დეშანელი მიიღო.

პარიზი. პუანკარე დღის სახელმწიფო მოღვაწეებთან თათბირს განაგრძობს, მიიღებს კაიოს და რიბოს. ორი მიმართულება გამოირკვა: ერთი კაიოს მეთაურობით მხარს უჭერს კაბინეტის დამხობას და მემარცხენე მიმართულების კაბინეტის შედგენას; მეორე მიმართულება მომხრეა საკოალიციო კაბინეტისა დეშანელის, დუმერგას ან დიუპიუს თავმჯდომარეობით. ასახელებენ დელკასესაც.

პარიზი. პუანკარემ ორჯელ მიიღო ბარტუ; ებაასა სენატის საფინანსო კომისიის თავმჯდომარეს და მომხსენებელს.

პარიზი. პუანკარე ებაასა კაიოს და რიბოს. პრეზიდენტი უფრო რიბოს რჩეობს მინისტრ-პრეზიდენტად.

სტრასბურგი. ელზას-ლორენის პატარა ქალაქების ბურგომისტრები შეიკრიბნენ საოლქო სეიმის სადგომში და თანაგრძნობა გამოუცხადეს ცაბერნის ბურგომისტრს. კრებამ რეზოლიუცია გამოიტანა, სადაც აღნიშნულია საფრთხე, რომელიც სახელმწიფოს მოელის.

ბერლინი. რეიხსტაგში შეუდგნენ ცაბერნის ამბების გამო შეტანილი შეკითხვის განხილვას. სხდომას დაესწრო იმპერიის კანცლერი, მინისტრები, მრავალი სამხედრო პირი და სხვანი. დარბაზი ხალხით არის გაჭედილი, პროგრესისტთა შეკითხვას (.....) მოლაპარაკეს? აღნიშნავს, რომ ელზას-ლორენის მშვიდობიან განვითარების იმედები დასამარდა. მომხდარი ამბები არ შეესაბამება კულტუროსან სახელმწიფოს. მოლაპარაკემ სთქვა: ყაზარმების სარდაფებში დამწყვდეულთ არა ჰქონდათ საშუალება ბუნებრივ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. დარბაზში საშინელი ხმაურობა ასტყდა.

შემდეგ სოციალისტმა ილაპარაკა: იმპერიის კანცლერმაო, სთქვა მოლაპარაკემ, ყოველი ღონე უნდა მიიღოს და ღირსეულად დასაჯოს დამნაშავე სამხედრო პირნი; წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანია გაცილებით უკან იქნება ჩამორჩენილი ვენეცუელასა და მექსიკაზე. მოლაპარაკე მოუწოდებს კანცლერს სოციალისტებთან ერთად თანამედროვე გერმანია თავისუფალ სახელმწიფოდ გარდაჰქმნას.

შეკითხველებს კანცლერმა და სამხედრო მინისტრმა უპასუხეს. უკანასკნელი სამხედრო მთავრობის მოქმედებას ამართლებს.

მინისტრის შემდეგ ილაპარაკეს ცენტრისა და ნაციონალისტ-ლიბერალების პარტიათა წარმომადგენლებმა. მ. თ მთავრობის მოქმედება მკაცრად დაჰგმეს. კრების დახურვის წინ პროგრესისტთა პარტიამ წინადადება მისცა რეისტაგს, კანცლერს უნდობლობა გამოუცხადოს. წინადადებას მთელმა რეიხსტაგმა მხარი დაუჭირა, გარდა მემარჯვენეებისა. კამათი ხვალაც გაგრძელდება. დღევანდელი სხდომა ამ ბოლო წლებში ყველაზე უფრო მღელვარე იყო. პირველად სხდომას მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა; როდესაც მინისტრმა სამხედრო პირთა მოქმედების დაცვა დაიწყო, მღელვარება თანდათან ძლიერდება. როდესაც მინისტრმა გაზეთებსა და ქუჩის მყვირალებზე დაიწყო ლაპარაკი, სოციალისტმა ლედებურმა შესძახა მინისტრს: „ისე ლაპარაკობთ, როგორც აგენტი პროვოკატორიო". საშინელი ხმაურობა ასტყდა.

ბალკანეთის სახელმწიფონი.

ბელგრადი. გაზეთი „პიემონტი" რუსეთს უძღვნის მგრძნობიარე მეთაურ წერილს. გაზეთი სწერს: სერბია ეხლაც, როგორც წინად, ერთგულია რუსეთისა; რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეთა შეცდომით რუსეთი ბულგარეთს უფრო დაუახლოვდა. სერბია ამას დიდის ტკივილით ითმენდა. ტკივილი მით უფრო მწვავე შეიქნა, როდესაც შევიტყეთ, რომ სერბია სრულიად რუსეთის ინტერესთა ფარგალში არის მომწყვდეული. ოსმალეთთან ბრძოლამ გვიხსნა ამ უღლისაგან. სერბიას არ ჰსურდა ბულგარეთთან ომი და ამიტომაც იგი მზად იყო წამდგარიყო რუსეთის იმპერატორის უზენაესი სამართლის წინაშე.

მიუხედავად იმისა, რომ სლავიანთა ერთობა დაირღვა, სერბია კვლავ სთხოვს რუსეთს განაახლოს მეგობრული კავშირი ბულგარეთთან. გაზეთი აღნიშნავს მრავალ მაგალითს, რითიც დამტკიცებულია რუსეთის და სლავიანთა ძმობა. გაზეთი დასძენს: სერბიის დიპლომატიის ცდა დაუკავშირდეს ავსტრია-უნგრეთს უნაყოფოაო.

გაზეთი შემდეგი სიტყვით ათავებს წერილს: „დიდო რუსეთო! მოგვიხმე შენსკენ, რათა დასავლეთისაკენ არ ვხვეტიალობდეთ, გვაცანი, გვაგემე შენი კულტურის ნაყოფი. შენი მონათესავე ტომს, შენის დახმარებით და შემწეობით გამოხსნილს ერთს ხელში მახვილი უპყრავს და მეორე ხელით კი ძმურად გართმევს ხელს. იგი მოძმე ტომი ჰმღერს სლავიანთა და მართმადიდებელ ხელმწიფის საქებელ ჰიმნს".

სოფია. გაზეთი „ლა-დე-ბიულგარი" „როსია"-ში მოთავსებული წერილის გამო ამბობს: რუსეთისადმი სიმწარის გრძნობა გაცილებით უფრო ადრე დაიბადა ბულგარეთში, ვიდრე დღევანდელი სახელმწიფოს სათავეში დღევანდელი მთავრობა მადგებოდა, მაშინ დაიბადა ეს გრძნობა, როდესაც რუსეთის ერთგულნი მეგობარნი ხმა მაღლა ჰღაღადებდნენ უკმაყოფილებას დიდებულ სლავიანთა იმპერიისადმი; მკაცრი კილო არაკეთილსინდისიერ მქადაგებლებისა არ ჩაითვლება საზოგადოებრივ აზრის გამომხატველად, არც მემარცხენე გაზეთების გალაშქრება ოფიციალურ რუსეთის წინააღმდეგ გამოჰხატავს ბულგარეთის ხალხის აზრისა და მით უმეტეს მმართველ წრეთა.

რაც შეეხება კათოლიკეთა ეკლესიასთან შეერთების სასარგებლო მოძრაობას, თუმცა იგი ხიფათში აგდებს ბულგარეთის მართლმადიდებლობას, მაგრამ აუცილებლივ გამოწვეულია მაკედონელ ბულგართათვის სერბიისა და საბერძნეთის დენაციონალიზაციის საწინააღმდეგოდ.

გაზეთი „როსია" თუმცა აღიარებს, რომ ბულგარეთის მთავრობა თავისუფალია არჩევანში, მაგრამ ყველგანა ჰხედავს ინტრიგებსა და ორმაგობასა, ეს საწყენიც და უსამართლოცაა. ჩვენ დაბეჯითებით უარვყოფთ ყოველგვარ ეჭვს; ბულგარეთი მხოლოდ თავის ინტერესების დაცვისთვის ჰმოქმედებენ და ამოძრავებთ გულწრფელი პოლიტიკა; რუსეთის გაზეთმა ჩვენი სახელმწიფო სცნო ღირსად კეთილი მომავლისა. მთავრობა ამ მომავლისათვის მზადებას შესწირავს მთელს ძალ-ღონეს იგი არ გააბამს თავის თავს ავანტიურაში და არ გაჰხდის ბულგარეთს სხვა სახელმწიფოს სურვილების განსახორციელებელ იარაღად. სასურველიც მხოლოდ ეს არის

რუსეთი.

ეკატერინოდარი. სასამართლოში დაიწყო „მინდორის ქაჯთა" საქმის გარჩევა. პასუხის გებაში 62 კაცია, მოწმე 125; საქმის გარჩევა ერთ თვეს გასტანს.

წაიკითხეს საბრალმდებლო აქტი. 1908—11 წელს ყუბანის ოლქში ყაჩაღთა ბრბოს თარეში ფრიად გავრცელდა, განსაკუთრებულის სიმკაცრით განირჩეოდა ყაჩაღთა ბრბო, რომელიც ეისკისა და ტიუმრიუკის მაზრებში ჰმოქმედებდა „მინდვრის ქაჯნი" შევარდებოდნენ ხოლმე ღამე სახლში და მძინარე ხალხს ახრჩობდნენ. ძალას ჰხმარობდნენ მანდილოსნებზე, არ ინდობდნენ ძუძუ მწოვარა ბავშვებს „მინდვრის ქაჯებს" მთელ თავის ყაჩაღობაში მძიმედ დაუჭრიათ 47 კაცი, მოუკლავთ 30-ზე მეტი. ყველაზე უსასტიკესი დანაშაულობა ჩაიდინეს მოსახლე კონრად გილის ოჯახის ამოწყვეტაში. დიდხანს მათი დანაშაულობანი იდუმალებით იყო მოცული; გილის ოჯახის ამოწყვეტის შემდეგ კი მიაგნეს „მინდვრის ქაჯთა კვალს".

პეტერბურგი. სათათბიროს კომისია შეუდგა პოლიციის რეფორმის კანონ-პროექტის განხილვას. განიხილეს საკითხი, თუ ვინ იყოს მთელ იმპერიაში პოლიციის უმაღლეს ხელმძღვანელად; კომისიამ ხმის უმრავლესობით უმაღლესი გამგებლობა პოლიციისა შინაგან საქმეთა მინისტრს აკუთვნა. დამოკიდებულებითი გამგებლობა ენიჭება მინისტრის ამხანაგს, რომლის უფლებასაც ინსტრუქციის წესით ჰსაზღვრავს მინისტრი, მეორე საკითხი ეხება ჟანდარმთა კორპუსის სამოქმედო ფუნქციებს. ამ საკითხის გადაწყვეტა სხვა დროსთვის გადადეს; ვიდრე პეტერბურგში არ დაბრუნდება მინისტრის ამხანაგი ჯუნკოვსკი.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ბ.ბ. ივანიძეს, რუტკოვსკის, გედევანიშვილს და თავ. თარხანიშვილს, რომელთაც შემოსწირეს ყვარლის ღარიბ წიგნთსაცავ-სამკითხველოს 20 მანეთი.

ყვარლის სამკითხველოს გამგეობის წევრი **ეკა ხარიტონაშვილი.**

დიდ მადლობას ვუძღვნი, როგორც მე ისე ჩემი მრევლის დავალებით ბატონს იოანე ხოსოს ძე გოგოლიშვილს, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულს ჩემდამი ლიხაურის ღვთისმშობლის ეკლესიის სამღვდლო შესამოსელი ღირებული ას მანეთად.

მღ. **ნესტორ კონტრიძე.**

ჩვენი ფოსტა

დ. ჭიათურა. მუშა იტს. თქვენი შეკითხვა რედაქციამ მიიღო. რედაქცია დიდი ხანია ჰგრძნობს, რომ საჭიროა ეროვნული საკითხის იმ დეტალების გამორკვევა, რომელთა შესახებაც თქვენ იწერებით. სწორედ იმ სურვილის დასაკმაყოფილებლადაც დაიწყო ბეჭდვა ჩვენი თანამშრომლის ბ-ნ არ. ჯ—შვილის წერილებისა, მაგრამ, რედაქციისაგან სრულიად დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, მათი ბეჭდვა შეუძლებელი გახდა. მიუხედავად ამისა, რედაქცია მაინც ეცდება და წინადაც ყოველთვის იმის ცდაში ყოფილა, რომ არც ერთი მხარე ეროვნული საკითხისა გაურკვეველი არ დარჩეს, ეს მით უფრო საჭიროა, რომ მოწინააღმდეგე ბანაკი უსაფუძვლო პროპაგანდის შესახებ, მუშებს ძალიან შემცდარი და ყალბი აზრი აქვთ შემუშავებული ეროვნულ საკითხის შესახებ. არც ავტონომიის ცნება აქვთ შეთვისებული ისე, როგორც საჭიროა. ძალიან ხშირად ავტონომიას აწერენ ისეთს თვისებებს, რომლებიც მხოლოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს.

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

სახლი
„ვაკეში" განმარტოებით მდგარი სთავად-აზნაურო გიმნაზიის პირდაპირ, იძლევა იჯარით, ოთხი ოთახით „კუხნებით", ვანის ოთახით, ორი პატარა სარდაფით, შუშაბანდიანი სარაიი, მოწყობილი ელექტრონით და ტელეფონით. სახლს ყოველა მხრიდან მზე უდგება. შეიძლება ორ-ორი ოთახის იჯარით აღებაც. არის მთის წყალი და კარგი ჰაერი.
პირობების გაგება შეიძლება იქვე გაზეთისთან. 1606

ექიმი შ. ა. მიქელაძე 16 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

იყიდება სასწრაფოდ
საპარიკმახერო
თავისი მოწყობილებით. ვერის დაღმართზე № 7. პირობების გაგება შეიძლება იქვე აბანოში. 822

საზოგადო
თავშესაფარი
ოქსაროლისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოლოვონის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ამხანაგობის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606" და „914"
11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავახარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
მ. გ. ბაგახართვა: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. შულიძე: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ბ. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ავადმყ. და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. გ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
ა. დ. ზურაბიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1004 დოქტორი ბ. ა. ნავახარდიანი.

მუხრანის ქუჩაზე, სადაც წინად „კავკაზ" ნომრები იყო, გაიღო
სტუმრული ნომრები
შენობა ახლად შეკეთებულია და განათებულია ელექტრონით. ავეჯეული სულ ახალია. ნომერი ღირს: 60 კ.—დან 1 მანეთამდე.
ტფიურებს დიდი შეღავათი. 1552

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გ ა მ ც ე მ ი"
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

Верійская парная баня
ვისაც გსურთ ბანაობა, მობრძანდით და იბანეთ
ზ. ი. აბრამაშვილის
აბანოში
ევროპიულად მორთულ ორთქლის აბანოში
ვერის დაღმართზე, (Верійскій спускъ, № 7),
ქალაქის შუა ადგილას, საიდანაც ტრამვაის საშუალებით ყველა დაწესებულებას ადვილად და იაფად მისწვდებით.
გვყავს ქართველი და სპარსელი გამოცდილი მექისეები.
განათებულია ელექტრონით.
ღიაა არის დილის 6 ს.-დან ღამის 12 ს.-დე, ხოლო კვირაობით—დილის 6 საათიდან ნაშუადღევ. 2 საათამდე.
საერთო ნომრები ცალ-ცალკე ქალებისათვის და კაცებისათვის 20 კ. ცივი და ცხელი დუში სათავად-აზნაურო საერთოში 40 კაპ., ხოლო მოსწავლეებისათვის 30 კ. ვანები აბონემენტები (გრადუსით) 30 კაპ.
გვყავს პარიკ მახერი კვირა დღითაც საათის ორამდის. 1602

12 ქართული წიგნი 1 მანეთად გამზავნით!
მიიღება ხელის-მოწერა 12 წიგნზე სწავლა-აღზრდის იდეალთა და სამეურნეო-სამკურნალო ახალ ცნობათა შესახებ. თვითეული წიგნი იქნება 16 გვერდი, საშუალო ზომისა დ გამოვა თვეში არა ნაკლებ ერთის წიგნისა. პირველი წიგნი „საფუძვლები ზნეობრივი აღზრდისა ჩვენს დროში" გამოვა პირველ იანვრისათვის 1914 წლისა და მაშინვე დაურიგდება ხელის-მომწერლებს ფოსტით. დანარჩენი წიგნები იქნება: 2) საფუძვლები გონებრივი აღზრდისა ჩვენს დროში; 3) როგორ უნდა ვასწავლიდეთ წერა-კითხვასა; 5) ახალი სკოლა ევროპასა და ამერიკაში; 6) როგორ არის მოწყობილი სწავლის საქმე ბულგარეთში და სხვანი. შიგა და შიგ ამავე წიგნებში ჯავბეჭდავთ სამეურნეო-სამკურნალო ახალ ცნობებსაც და ხელის-მომწერთა სახელ-გვარსაც. ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Тифлисъ, Тумановскій пер., 24, Ивану Павловичу Ростомашвили. ტფილისში ხელის მოწერა მიიღება ჩვენთან, წ. კ. საზოგადოების მაღაზიაში და „სორაპნის" სტამბაში. 824

„გამოცემა სორაპნისა"
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად დასურათებული
კედლის კალენდარი 1914 წ.
შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ
ფასი 40 კაპ.
კალენდრის კარდონი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ათი ფერი სახეებით სუფთად და ლამაზად.
სახალხო კალენდარი 1914 წ.
დასურათებული
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ
ფასი 20 კაპ.
კალენდრები იყიდება საქართველოში ყველგან. ვისაც პარტიით ყიდვა სურს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით: ტფილისი, მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი"
1592.

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
მმ.
მეგველოვები.
ახალ-ახალი
მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
აგრეთვე იყიდება მაილოვის
ხიზილალა.
კოლოფით ქიტკა და ხმელი სოკო აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის ღოში, იანი, ქიპა, ზურგიელები და სხვა ყოველნაირი თევზეულობა და
კონსერვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.
1560

ტფილისი, სტამბა „შრომა" მუხრანის ქუჩა.